

შპს „M-სერვისი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „M-სერვისი“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	8
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება -----	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება -----	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	20
4. 2017 წლის რეკლასიფიკაციები და გაუნაწილებელი მოგების კორექტირება 2017 წლის 1 იანვრით -----	21
5. ძირითადი საშუალებები -----	22
6. არამატერიალური აქტივები -----	23
7. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში -----	23
საწარმო წილობრივ ინსტრუმენტებს აღრიცხავს თვითღირებულებით. -----	23
8. მოთხოვნა მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ -----	23
9. მარაგები -----	24
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	24
11. საგადასახადო მოთხოვნები -----	24
12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები -----	24
13. ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე -----	24
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	25
15. ამონაგები -----	25
16. სხვა შემოსავალი -----	25
17. შეძენილი მომსახურების ხარჯები -----	26
18. სხვა საოპერაციო ხარჯი -----	26
19. ფინანსური და სხვა რისკების მართვა -----	27
20. პირობითი ვალდებულებები -----	30
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან -----	30
22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები -----	32
23. ფუნქციონირებადი საწარმო -----	32
24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება -----	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „**M-სერვისი**“-ის მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „**M-სერვისი**“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „**პირობითი მოსაზრების საფუძველი**“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „**M-სერვისი**“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთის არსებობასთან დაკავშირებით, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად **524** ლარის ოდენობით (შენიშვნა 12).

2018 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია **563,410** ლარით (შენიშვნა 9).

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტის ობიექტი კუთვნილი უძრავი ქონების ნაწილს, მიმდინარე და შესადარის პერიოდებში იყენებს იჯარით გასაცემად. კომპანიის მენეჯმენტს 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აღნიშნული ქონება არ აქვს გამიჯნული ძირითადი საშუალებებისგან და არ აქვს წარმოდგენილი საინვესტიციო ქონების მუხლში, ამასთანავე კომპანიის მენეჯმენტს არ შეუფასებია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, შედეგად საინვესტიციო ქონების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარდგენილი საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება. ფინანსური მდგომარეობის უწყისში, იჯარით გაცემული უძრავი ქონება (საინვესტიციო ქონება), ძირითად საშუალებებთან ერთად, ძირითადი საშუალებების მუხლშია წარმოდგენილი თვითღირებულებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობით ვართ შპს „M-სერვისი“-ისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „M-სერვისი“-ის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 11 ივნისს უპირობო მოსაზრება გამოთქვა აღნიშნულ ანგარიშგებაზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „M-სერვისი“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან შპს „M-სერვისი“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა

შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ *შპს „M-სერვისი“-ის* შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა *შპს „M-სერვისი“-ის* ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება *შპს „M-სერვისი“* უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია *შპს „M-სერვისი“-ის* მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს შემდეგი მიზნებისთვის: გაუგზავნოს დამფუძნებელს ან/და განიხილოს სუბიექტის შიგნით შექმნილი შესაბამისი მაკონტროლებელი ორგანოს ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე: www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ *შპს „M-სერვისი“-თან* გაფორმებული, 2019 წლის 17 ივლისის ხელშეკრულების # 17/07/001-2019, ასევე 2019 წლის 17 ივლისის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს 1 წელს, რომელიც შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდს მოიცავს.


გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შპს „M-სერვისი“-სათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით შპს „M-სერვისი“-საგან ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი
შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით

27.09.2019

პ.ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო



შპს „M-სერვისი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	1,633,753	1,567,677	1,521,849
არამატერიალური აქტივები	6	19	19	20
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	7	114,000	24,000	24,000
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შევსებაზე	8	800,000	800,000	800,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,547,771	2,391,696	2,345,869
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	563,410	75,316	112,097
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	409,933	509,163	225,629
საგადასახადო მოთხოვნები	11	33,310	36,558	87,072
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	135,694	664,988	208,972
სულ მიმდინარე აქტივები		1,142,347	1,286,026	633,770
სულ აქტივები:		3,690,119	3,677,723	2,979,639
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3,000,000	3,000,000	3,000,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(94,800)	(79,447)	(37,118)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,905,200	2,920,553	2,962,882
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე	13	86,000	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		86,000	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	698,918	757,169	16,757
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		698,918	757,169	16,757
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,690,119	3,677,722	2,979,639

დირექტორი
ლევან არჩვაძე

23.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
მედეა ბუღბულაშვილი

23.09.2019, თბილისი

11-39 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „M-სერვისი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

		2018	2017
ამონაგები	15	2,730,514	1,886,203
სხვა შემოსავალი	16	32,717	128,606
შესრულებული კაპიტალიზებული სამუშაო		8,542	46,579
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		488,094	(36,781)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შემენა		(2,833,623)	(1,361,082)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(120,898)	(156,471)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები		(43,088)	(41,603)
შემენილი მომსახურების ხარჯები	17	(248,206)	(47,593)
საგადასახადო ხარჯი		(13,590)	(38,897)
სხვა საოპერაციო ხარჯი	18	(17,916)	(410,165)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(17,454)	(31,205)
საკუროსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობა/ (ხარჯი), წმინდა		2,101	(11,124)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(15,353)	(42,329)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(15,353)	(42,329)

დირექტორი
ლევან არჩვაძე

23.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
მედეა ბულბულაშვილი

23.09.2019, თბილისი

შპს „M-სერვისი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	სულ
ნაშთი 31.12.2016	3,000,000	133,082	3,133,082
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთის კორექტირება - შეცდომის გასწორება	-	(170,200)	(170,200)
გადაანგარიშებული ნაშთი 31.12.2016	3,000,000	(37,118)	2,962,882
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(42,329)	(42,329)
ნაშთი 31.12.2017	3,000,000	(79,447)	2,920,553
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(15,353)	(15,353)
ნაშთი 31.12.2018	3,000,000	(94,800)	2,905,200

დირექტორი
ლევან არჩვაძე

23.09.2019, თბილისი



მთავარი ბუღალტერი
მედეა ბულბულაშვილი

23.09.2019, თბილისი

შპს „M-სერვისი“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)


ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2,856,748	1,208,551
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(3,181,745)	(581,866)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(81,304)	(88,809)
გადახდილი გადასახადები	(33,521)	(36,280)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(439,822)	501,596


ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(120,492)	(91,228)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	26,258
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	(4,000)	-
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(124,492)	(64,970)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	107	1,729
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	107	1,729

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(564,207)	438,355
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	664,989	208,972
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ნაშთებზე	34,912	17,662
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	135,694	664,989


 დირექტორი
 ლევან არჩვაძე
 23.09.2019, თბილისი




 მთავარი ბუღალტერი
 მედეა ბულბულაშვილი
 23.09.2019, თბილისი

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „M სერვისი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2009 წლის 12 თებერვლიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202456920; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.# 74.

საწარმოს პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელია **სს საწარმო „მედიკინსერვი“**, რომელიც არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია 1996 წლის 19 მაისს, საქართველოში, ქ. თბილისი, დგებუაძის #1-ში. საწარმოს საწესდებო კაპიტალი შევსებული არა აქვს სრულყოფილად და მას კაპიტალის შევსების ვალდებულება აკისრია.

შპს „M სერვისი“ (შემდეგში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ახორციელებს მომსახურება და სავაჭრო საქმიანობას, ასევე სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და რეალიზაციას საბითუმოდ და საცალოდ. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საზოგადოება სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და სხვა ხასიათის მომსახურებას-რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ახორციელებს ამ ნებართვის მიღების შემდეგ.

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები იყო შემდეგი:

	ლარი/აშშ. დოლარი
31.12.2017	2.5922
31.12.2018	2.6766
	ლარი/ევრო
31.12.2017	3.1044
31.12.2018	3.0701

ახალი ფას-ების მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც საწარმოებს სთავაზობს ერთიან, სრულ სააღრიცხვო მოდელს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 15 მა ჩაანაცვლა შემოსავლის აღიარების არსებულ მიდგომა, მათ შორის ბასს 18-ს - შემოსავლები, ბასს 11-ს - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს. ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

აღნიშნული მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან.
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დამატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები.

2018 წელს კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნულ სტანდარტს გავლენა არ მოუხდენია.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს - 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. მან ჩაანაცვლა ბასს 39, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას. ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებას, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომებს ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლა „ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპით“. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული სტანდარტის ძალაში შესვლას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

ფასს 16 - იჯარა - (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა 12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე. ხელმძღვანელობის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკურ სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

დივიდენდი

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

როდესაც საწარმო დივიდენდებს გასცემს კაპიტალის წილის მფლობელებზე, მას ევალება დივიდენდების დაბეგვრა გადახდის წყაროსთან. გადასახადის თანხა, რომელიც გადაიხდება ან ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისათვის, აისახება საწარმოს საკუთარ კაპიტალში, როგორც დივიდენდების ნაწილი.

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის სრული სემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	2-5%
მანქანა-დანადგარები	3-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

სატრანსპორტო საშუალებები 7-10%

სხვა ძირითადი საშუალებები 10-15%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო საზღვრავს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. რომელიც ვლინდება მაშინ, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას.

როდესაც მოცემული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

როცა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ ადგილი ექნება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებების ცვლილებებს და აღდგება გაუფასურების ზარალი, აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა გაიზარდოს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე ისე, რომ გაუფასურების ზარალის კომპენსირების შედეგად აქტივის გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას (ამორტიზაციისა და ცვეთის გამოკლებით), რომელიც მიღებული იქნებოდა, წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა), სატრანსპორტო, დატვირთვაგადმოტვირთვის დანახარჯებს და, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა აღიარდება უკუგატარების პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხის შემცირებად.

ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც (ფინანსური აქტივისა და ფინანსური ვალდებულების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც: რეალური ღირებულების შეფასებული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში ასახვით; დაფარვის ვადამდე ფლობილი; გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები; სესხები და მოთხოვნები;

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული. სესხები და მოთხოვნები (სავაჭრო და სვა მოთხოვნების, ფულადი სახსრების ჩათვლით) ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი პროცენტის თანხა, გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, რომელიც უნმიშვნელო იქნებოდა, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურების ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

შპს „M-სერვისი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

თუ საწარმო დაადგენს, რომ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია თუ არა იგი, საწარმო ამ აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე ფინანსურ აქტივთა ჯგუფს და ერთად ამოწმებს მათ გაუფასურებას. პორტფელის გაუფასურების ობიექტურ ნიშანი შეიძლება იყოს წარსულის მონაცემები დაფარვასთან დაკავშირებით, დაფარვის საშუალო ვადის გადაცილება, რომელიც საწარმოს მიერაა დადგენილი, ასევე საგრძნობი ცვლილება ეკონომიკაში, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოთხოვნების დაფარვაზე. მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის განსაზღვრა. მოთხოვნების გაუფასურების ზარალის თანხა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია მიღებული სესხების, სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების (როგორცაა საპროცენტო და სხვა დანახარჯები) აღიარება ხდება ხარჯის სახით, გარდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული იმ დანახარჯებისა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია განსაკუთრებული აქტივის შეძენის, მშენებლობის ან წარმოების პროცესთან. განსაკუთრებული აქტივთან დაკავშირებული ნასესხები საშუალებების დანახარჯები აისახება ამ აქტივის თვითღირებულებაში.

მაშინ, როდესაც საწარმოს მიერ აღებული ჩვეულებრივი, საერთო დანიშნულების სესხი, გამოყენებული იქნება რომელიმე კონკრეტული განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზებადი თანხის დასადგენად გამოიყენება ამ აქტივზე გაწეული დანახარჯების კაპიტალიზაციის ნორმა. იგი გამოითვლება როგორც ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების საშუალო შეწონილი სიდიდის თანაფარდობა საწარმოს ნასესხები სახსრების იმ ნაწილთან, რომელიც გადავადებულია მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში და განკუთვნილი არ არის განსაკუთრებული აქტივის შესაძენად, საწარმოებლად ან ასაშენებლად.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საიჯარო გადასახდელები იჯარის ვადის განმავლობაში ხარჯად და შემოსავლად აღიარდება წრფივი მეთოდით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დაბეგვრა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში მოგების გადასახადის გარდა იბეგრება სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა საოპერაციო ხარჯების“ და „დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი“ მუხლებში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოს მიერ ნებადართულია, რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. 2017 წლის რეკლასიფიკაციები და გაუნაწილებელი მოგების კორექტირება 2017 წლის 1 იანვრით

საწარმომ 01.01.2017 წლის მდგომარეობით არსებული უიმედო მოთხოვნების გადახურვა მოახდინა გაუნაწილებელი მოგების ნაშთზე.

	ნაშთები 01.01.2017 კორექტირებამდე	უიმედო მოთხოვნების გაუფასურება	კორექტირებული
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,195,829	(170,200)	1,025,629
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)	133,082	(170,200)	(37,118)

გარკვეული რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრეზენტაციასთან.

რეკლასიფიკაცია 1: საკურსო სხვაობებით გამოწვეული დადებითი შედეგი 2017 წლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყო "სხვა შემოსავალში". რეკლასიფიკაციის შედეგად კი გადატანილ იქნა მუხლში "საკურსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობა/ (ზარჯი), წმინდა", სადაც წარდგენილია საკურსო სხვაობების ნეტო შედეგი.

რეკლასიფიკაცია 2: დამფუძნებლის მიმართ მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებული იყო "სავაჭრო და სხვა მოთხოვნები"-ს მუხლში. 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილია ცალკე მუხლად და 2017 წლის მონაცემებშიც ცალკე მუხლში იქნა გადატანილი.

	რეკლასიფი- ცირებამდე 2017	რეკლასიფი- კაცია 1	რეკლასიფი- კაცია 2	რეკლასიფი- ცირებული 2017
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,309,163	-	(800,000)	509,163
მოთხოვნა დამფუძნებლის მიმართ კაპიტალის შევსებაზე	-	-	800,000	800,000
სხვა შემოსავალი	272,742	(144,136)	-	128,606
საკურსო სხვაობებით გამოწვეული შემოსულობა/ (ზარჯი), წმინდა	(155,260)	144,136	-	(11,124)

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	დაუთავრებელი მშენებლობა	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	505,800	39,508	882,268	124,150	123,941	27,069	65,483	1,768,220
შემოსვლა		100,358	8,542					108,899
გადაფასება						314		314
გასვლა						(505)		(505)
31 დეკემბერი 2018	505,800	139,866	890,810	124,150	123,941	26,878	65,483	1,876,928
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2017	-	-	99,571	24,787	54,299	11,105	10,781	200,543
პერიოდის ცვეთა			18,158	5,592	10,195	3,215	5,929	43,088
გასვლა						(455)		(455)
31 დეკემბერი 2018	-	-	117,729	30,379	64,494	13,864	16,710	243,176
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2017	505,800	39,508	782,697	99,364	69,642	15,964	54,702	1,567,677
31 დეკემბერი 2018	505,800	139,866	773,080	93,772	59,447	13,014	48,774	1,633,753

5.1. კომპანიის ბალანსზე არსებულ ძირითად საშუალებებზე გირავნობა ან რაიმე სახის უფლებრივი შეზღუდვა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არ არსებობს.

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

საწარმოს არამატერიალური აქტივის სახით ერიცხება საბუღალტრო პროგრამა "ინფო ბუღალტერი". არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

7. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

საწარმო წილობრივ ინსტრუმენტებს აღრიცხავს თვითღირებულებით.

შპს „M-სერვისი“ 2018 წლის 27 აპრილამდე ფლობდა შპს „Georgian Natural Food Company“-ის (ს.ნ.: 401978008) 30%-იან წილს. 2018 წლის 27 აპრილს კი მან მოახდინა აღნიშნული კომპანიის კაპიტალის მფლობელი (მოწილე) ფიზიკური პირებიდან წილის ჯამურად 50%-ის გამოსყიდვა და გახდა 80%-ის მფლობელი (ინვესტირებული ღირებულება შეადგენს 64,000 ლარს), თუმცა შპს „Georgian Natural Food Company“-ის კონსოლიდირებას შპს „M-სერვისი“ არ ახდენს, რადგან კონსოლიდირებას მოახდენს შპს "M-სერვისის" მაკონტროლებელი კომპანია სს "კომპანია მედინსერვი" (ს.ნ.: 201951094).

2018 წლის 19 მარტს შპს „M-სერვისი“-მა, ერთ-ერთ შვეიცარულ საწარმოსთან ერთად, (წილები გადანაწილებულია 50/50), დააფუძნა სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი „გენომიკა“ (ს.ნ.: 402080154). საწარმოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 100,000 ლარით, როგორც ფულადი ისე არაფულადი შენატანის სახით. კაპიტალის შევსება საანგარიშგებო წლის ბოლომდე არ განხორციელებულა.

აღნიშნულ საწარმოებს სამეურნეო ოპერაციები საანგარიშგებო პერიოდში არ განუხორციელებიათ.

	2018	2017
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში (მეკავშირე 2017-ში)	64,000	24,000
ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	50,000	-
სულ	114,000	24,000

8. მოთხოვნა მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ

	2018	2017
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე მაკონტროლებელი საწარმოს მიმართ	800,000	800,000
სულ	800,000	800,000

დაფუძნების დღიდან დამფუძნებლის მიერ კაპიტალი შევსებულია 2,200,000 ლარის ღირებულებით როგორც ფულადი, ასევე ქონებრივი შენატანის გზით. 3,000,000 ლარამდე კაპიტალი გაზრდილია 2014 წელს.

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. მარაგები

	2018	2017
მედიკამენტები	556,567	21,725
კლინიკური კვლევების საქონელი	-	42,976
სხვა საქონელი	6,844	10,615
სულ	563,410	75,316

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 44,438 ლარი (2017 წელს - 0 ლარი), იგი ჩართულია მარაგების ცვლილებების მუხლში.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	331,656	433,778
გადახდილი ავანსები	23,354	9,929
სხვა მოთხოვნები	54,923	65,456
სულ	409,933	509,163

11. საგადასახადო მოთხოვნები

საგადასახადო მოთხოვნები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით.

12. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2018	2017
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	128,514	600,245
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	6,655	63,026
ფული საღაროში	524	1,717
სულ	135,694	664,988

13. ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე

	2018	2017
ვალდებულება ერთობლივ საწარმოსთან	50,000	-
ვალდებულება კონტროლის ქვეშ მყოფ საწარმოსთან	36,000	-
სულ	86,000	-

იხილეთ ასევე შენიშვნა 7 – „მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში“

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018	2017
სავაჭრო ვალდებულება მაკონტროლებლის წინაშე	696,671	731,507
წინასწარ მიღებული თანხები	-	17,078
ვალდებულებები კომუნალურ და სხვა მომსახურებებზე	2,247	8,585
სულ	698,918	757,170

15. ამონაგები

	2018	2017
შემოსავალი მედიკამენტების საექსპორტო რეალიზაციიდან	2,742,520	1,422,018
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	(241,503)	(3,578)
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	61,431	206,840
შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	16,409	26,265
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	136,769	132,115
შემოსავალი კლინიკური კვლევების მომსახურებიდან	14,889	102,543
სულ	2,730,514	1,886,203

16. სხვა შემოსავალი

	2018	2017
საპროცენტო შემოსავლები	108	1,730
უსასყიდლო ფასეულობიდან (საჩუქარი) მიღებული შემოსავალი	13,232	23,146
უსასყიდლო მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი	-	74,835
კომპენსაციიდან მიღებული შემოსავალი	-	6,411
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19,377	22,484
სულ	32,717	128,606

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

17. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	2018	2017
საპრომოციო მომსახურების ხარჯი	188,675	-
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	21,980	10,000
შენახვისა და საწყობის ხარჯები	9,648	1,589
რეესპორტზე და ექსპორტზე გაწეული ხარჯები	5,235	437
მედიკამენტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები	4,962	1,721
საიჯარო ქირის ხარჯი	3,600	3,600
სამეურნეო და სხვა ჰიგიენური ხარჯი	3,600	6,041
დაზღვევის ხარჯი	2,512	2,335
მოსაკრებლები და გადასახდელების ხარჯი	2,175	6,865
ბანკის ხარჯები	2,090	2,375
დასუფთავების ხარჯი	1,962	1,962
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,015	2,221
ავტოტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	302	1,551
სხვა მომსახურების ხარჯი	451	6,896
სულ	248,206	47,593

18. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2018	2017
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	1,382	-
ელ. ენერგიის ხარჯი	16,378	15,028
კვლევების უსასყიდლო მომსახურ. ხარჯი	-	371,333
ძირ. საშუალების ჩამოწერის ხარჯი	-	23,028
სხვა დანარჩენი ხარჯები	157	776
სულ	17,916	410,165

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

19. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებათ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც დაფუძნებულია დარჩენილ არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს. ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ვალდებულებები	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	698,918	-	-	698,918
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	86,000	86,000
სულ	698,918	-	86,000	784,918

ფინანსური აქტივები	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	135,694	-	-	135,694
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	331,656	-	-	331,656
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	-	-	800,000	800,000
სულ	467,350	-	800,000	1,267,350
ლიკვიდურობის სხვაობა	(231,568)	-	714,000	482,432
აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	(231,568)	(231,568)	482,432	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის ცხრილიდან ჩანს, რომ აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა უარყოფითი მაჩვენებელია მოკლევადიან პერიოდში, თუმცა ეს არ ქმნის ლიკვიდურობის რისკს, რადგან სავაჭრო ვალდებულება ძირითადად წარმოდგენილია დამფუძნებლის მიმართ ვალდებულებით, რაც წარმოქმნილია დეკემბრის ბოლო თარიღების შემენებით და შესაბამისი ნაშთები მედიკამენტების სახით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგებშია აღრიცხული. 0-დან 3 თვემდე პერიოდში წარმოქმნილი ლიკვიდურობის უარყოფითი სხვაობა აღმოიფხვრება აღნიშნული მარაგის 2019 წელში გაყიდვით წარმოქმნილი მოთხოვნების დაფარვით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	53,252	306,210	339,457	698,918
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	86,000	-	-	86,000
სულ	139,252	306,210	339,457	784,918

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	7,179	112,706	15,808	135,693
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	74,000	246,776	10,880	331,656
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	800,000	-	-	800,000
სულ	881,179	359,482	26,688	1,267,350

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის და ევროს ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით. 2018 წლის 31 დეკემბრისათვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი -20%	ლარი/ევრო +20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/ზარალი	10,655	(10,655)	(62,554)	62,554

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს აკონტროლებს სს „კომპანია მედინსერვი“ 100%-იანი წილის ფლობით. ხოლო თვით შპს „M-სერვისი“ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფლობს მაკონტროლებელ წილს შპს „Georgian Natural Food Company“-ში (80%). კონსოლიდირებას არ ახდენს, რადგან კონსოლიდირებას მოახდენს სს „კომპანია მედინსერვი“. საწარმო ფლობს ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს - სააქციო საზოგადოება საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი „გენომიკა“. იხილეთ ქვემოთ ოპერაციები საანგარიშგებო პერიოდებსა და ნაშთები საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს მაკონტროლებელ საწარმოსთან და მის შვილობილ საწარმოებთან:

შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

	2018	2017
მაკონტროლებელი საწარმო	170,909	214,205
ერთობლივი საწარმო	2,288	-
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	6,000	27,000
სულ	179,197	241,205

საქონლის/მომსახურების შეძენა:

	2018	2017
მაკონტროლებელი საწარმო	3,366,990	1,198,075
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	3,651	13,703
სულ	3,370,641	1,211,778

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნები:

	2018	2017
მაკონტროლებელი საწარმო	1,700	-
ერთობლივი საწარმო	2,700	-
მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლ ქვეშ მყოფი საწარმოები	-	6,140
სულ	4,400	6,140

ვალდებულებები:

	2018	2017
მაკონტროლებელი საწარმო	696,671	731,507
სულ	696,671	731,507

საანგარიშწორებო ნაშთები არაფრით არაა უზრუნველყოფილი და გადახდილი იქნება ფულადი ფორმით. არ ყოფილა გაცემული და მიღებული არანაირი გარანტია. საანგარიშგებო წელს და წინა წლებში არ დარიცხულა საექვო ვალის რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით. ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

**შპს „M-სერვისი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2018	2017
შრომის ანაზღაურება მთლიანად	26,616	23,710
სულ	26,616	23,710

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დირექტორსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გადასახდელი ნაშთი ან წინასწარ გადახდილი ანაზღაურება არ არსებობს.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2019 წლის 5 მარტს ანგარიშვალდებული საწარმოს 100%-ით დამფუძნებელი სს კომპანია "მედიანსერვისი" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, საწარმოს კაპიტალი გაიზარდა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარით, ეტაპობრივად ფულადი ან /და სხვა მატერიალური/არამატერიალური შენატანებით. წინამდებარე ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე შენატანი არ განხორციელებულა.

23. ფუნქციონირებადი საწარმო

საწარმო ფინანსურ ანგარიშგებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით ამზადებს. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო საანგარიშგებო პერიოდების მანძილზე საწარმო საქმიანობას ზარალით ასრულებს, ამ ნაწილში ფიქსირდება დადებითი დინამიკა (ზარალის შემცირება). ამავდროულად, შპს „M-სერვისი“ წარმოადგენს კომპონენტს, ს.ს. კომპანია „მედიანსერვისი“-ს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და ჯგუფის დონეზე მნიშვნელოვან საოპერაციო რგოლს.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს „M-სერვისი“-ს დირექტორმა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 23 სექტემბერს.